ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების სტატისტიკა (2014-2017)

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას

Visegrad Fund

Kingdom of the Netherlands

2018

ძირითადი მიგნებები

- 2014-2017 (9 ოქტომბრამდე) წლებში საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით 16,463 ადამიანს მიენიჭა, საიდანაც 82% საქართველოსთან კავშირის მქონე პირი იყო.
- ბოლო 4 წლის განმავლობაში მინიჭებული მოქალაქეობების რაოდენობა ყოველწლიურად სტაბილურად 4,200-4,600 შორის მერყეობდა.
- 2014-2017 (9 ოქტომბრამდე) წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ჯამში 23,646 საქმე განიხილა. დადებითი რეკომენდაცია გაიცა 70% შემთხვევაში.
- 2014-2017 წლებში (17 ნოემბრის მდგომარეობით) მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაცია ყველაზე ხშირად რუსეთის მოქალაქეებზე გაიცა (61%); ამას მოსდევდა აშშ (7%), სომხეთი (6%), საბერძნეთი (4%), ისრაელი (4%), უკრაინა (4%), თურქეთი (2%), ირანი (1%). დანარჩენი 11% კი სხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

მონაცემები ეყრდნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ანგარიშსა და IDFI-ის მიერ სააგენტოდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას. კვლევის ფარგლებში დამუშავდა 2014-2017 წლების მონაცემები.

მოქალაქეობის მინიჭება საგამონაკლისო წესით

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, არსებობს ხუთი წესი, რომელთა მიხედვითაც უცხოელს შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა: ჩვეულებრივი, გამარტივებული, საგამონაკლისო, აღდგენისა, და სპეციალური.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

მოქალაქეობის ამ გზით მიღების მსურველების განცხადებებს განიხილავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; დადებით რეკომენდაციებს სააგენტო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა 2014-2017 (9 ოქტომბრამდე)

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014-2017 (9 ოქტომბრამდე) წლებში, ჯამში, საქართველოს მოქალაქეობა 16,463 ადამიანს მიენიჭა. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა – 4,597 ადამიანი (იხ. სურათი #1).

2017 წლის შემთხვევაში, პირველი 3 კვარტლის მონაცემებით, მოქალაქეობა 3,008 ადამიანმა მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ მე-4 კვარტალი წინა კვარტლების მსგავსი იქნება, წინასწარი გაანგარიშებით 2017 წლის ბოლოს მოქალაქეობათა რაოდენობა 4,000-ს მიაღწევს, რაც 13%-იანი კლება იქნება წინა წელთან შედარებით (იხ. სურათი #1).



საქართველოსთან კავშირის მქონე პირები

2014-2017 წლებში, ჯამში, საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით 16,463 პირს მიენიჭა. აქედან 82%-ს (13,552 პირი) საქართველოსთან კავშირის მქონე პირი იყო (იხ. სურათი #2).

საქართველოსთან დაკავშირებულ პირებად კვლევის მიზნებისათვის IDFI მიიჩნევს იმ პირებს, რომლებიც ან საქართველოში დაიბადნენ, ან/და იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები ან მათი ოჯახის წევრები.

საქართველოსთან არადაკავშირებულ ყველაზე მეტ პირს[1] საქართველოს მოქალაქეობა 2016 წელს მიენიჭა – 871, ხოლო ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა – 575 (იხ. სურათი #3).

[1] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანონის მოქალაქეობის კომისიის ანგარიშში, რომელიც IDFI-მ კვლევის მიზნებისათვის გამოიყენა პირები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭათ გამოყოფილი იყვნენ შემდეგ ჯგუფებთან მიკუთვნებულობის მიხედვით - საქართველოში დაბადებული, საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან მათი ოჯახის წევრი. IDFI-მ მათ საქართველოსთან დაკავშირებული პირები უწოდა, ხოლო კვლევის



მიზნებისათვის სხვა პირებს, რომლებსაც მსგავსი კავშირი არ ჰქონიათ საქართველოსთან არადაკავშირებული პირები ეწოდათ.


სურათი #3 – 2014-2017 წლებში (9 ოქტომბრამდე) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება პირთა საქართველოსთან კავშირის ტიპის მიხედვით
2023
1143
773
609
1817
994
900
575
1624
1209
893
871
1072
799
305
832
2014
2015
2016
2017 (9 ოქტომბრის მდგომარეობით)
საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან მათი ოჯახის წევრი
საქართველოში დაბადებული არა საქართველოს ყოფილი მოქალაქე ან მათი ოჯახის წევრი
საქართველოში არდაბადებული საქართველოს ყოფილი მოქალაქე ან მათი ოჯახის წევრი
საქართველოსთან არადაკავშირებული

მოქალაქეობის მინიჭება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, პრეზიდენტმა საგამონაკლისო წესით მოქალაქეობა ყველაზე ხშირად ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს მიანიჭა (იხ. სურათი #4). ჯამში 2014-2017 (9 ოქტომბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს მოქალაქეობა 9,119 საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეს მიენიჭა (55.3%), შემდეგ მოდიან ევროკავშირის მოქალაქეები (1,857 – 11.3%) და ამერიკული სახელმწიფოების მოქალაქეები (1,326 – 8%).


სურათი #4 – 2014-2017 წლებში (9 ოქტომბრამდე) კომისიის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით
3433
539
311
272
3
2
14
2993
567
397
294
9
4
19
330
474
399
386
6
7
15
2363
277
219
221
1
5
11
2014
2015
2016
2017 (9 ოქტომბრის მდგომარეობით)
ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე
ევროკავშირის მოქალაქე
ამერიკული სახელმწიფოების მოქალაქე
აზიური სახელმწიფოების მოქალაქე
არაბული სახელმწიფოების მოქალაე
აფრიკული სახელმწიფოების მოქალაქე
სხვა

მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაციები

2014-2017 წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ჯამში 23,646 საქმე განიხილა, რომელთაგან 70%-თან (16,571 პირი) მიმართებით გამოსცა დადებითი რეკომენდაცია (იხ. სურათი #5).



მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაციების გაცემა ქვეყნების მიხედვით

2014-2017 (17 ნოემბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაცია საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ყველაზე ხშირად შემდეგი 5 სახელმწიფოს მოქალაქის შემთხვევაში გასცა – რუსეთი, აშშ, სომხეთი, ისრაელი და უკრაინა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოქალაქეების ხვედრითი წილი მთლიანი მონაცემების 61%-ს შეადგენს (ჯამში 10,421 მოქალაქე). აშშ-ის მოქალაქეების ხვედრითი წილი 7%-ია (ჯამში 1,280), სომხეთის მოქალაქეების – 6% (ჯამში 948), საბერძნეთის, ისრაელისა და უკრაინის მოქალაქეების კი 4-4% (707, 696 და 674). პროცენტული მაჩვენებლით მათ მოსდევს თურქეთი (2% – ჯამში 261 ადამიანი) და ირანი (1% – ჯამში 228 ადამიანი) (იხ. სურათი #6).


სურათი #6 – საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაციები ქვეყნების მიხედვით 2014-2017 (17 ნოემბრის მდგომარეობით)
სხვა; 1848; 11%
ა.შ.შ.; 1280; 7%
ისრაელი; 696; 4%
ირანი; 228; 1%
თურქეთი; 261; 2%
საბერძნეთი; 707; 4%
უკრაინა; 674; 4%
სომხეთი; 948; 6%
რუსეთი; 10421; 61%